საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/2495
04/07/2024

2495-01-2-202407041554

ი/მ ლუკა სულავას (01008059549)

მის: ქ. თბილისი, დ. არაყიშვილის ქ., N 7, ბ. 4ა

ტელ: 551 533 509

ელ-ფოსტა: lukasulavasup@gmail.com

როგორც თქვენთვის ცნობილია სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 29 დეკემბრის №04/1034 ბრძანებით, „ მოქალაქეების ეკატერინე მაჩაიძის, მაია გორგოძის და ნინო დევრისაშვილის განცხადებების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე“ სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ (ამჟამად - სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო) (შემდგომში - სააგენტო) დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის - ი/მ ლუკა სულავას (პ/ნ 01008059549) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ„ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

საქმის შესწავლის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია ერთგვაროვან/მსგავს საკითხთან დაკავშირებით, ერთი მოვაჭრის მიმართ სხვადასხვა პირის მიერ წარმოდგენილ ერთზე მეტ განცხადებასთან დაკავშირებით დაიწყოს საქმის შესწავლა ერთიანი პროცედურის ფარგლებში. ხოლო, თუ საქმის შესწავლა უკვე დაწყებულია – მიღებული განცხადებები ჩართოს მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, თუკი ეს შესაძლებელია საქმის შესწავლისათვის დადგენილი ვადის გათვალისწინებით, აღნიშნულის საფუძველზე,სააგენტომ 2023 წლის 29 დეკემბრის №04/1034 ბრძანებით დაწყებულ საქმის წარმოებაში ჩართო მოქალაქე 2024 წლის 4 ივლისის N01/3394 განცხადება.

კანონის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე განმცხადებელს უფლება აქვს, სააგენტოს წარუდგინოს განცხადება მომხმარებლის უფლებების სავარაუდო დარღვევის შესახებ.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ (შემდგომში - პროცედურა) მე-8 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს: ა) ჰყავდეს წარმომადგენელი; ბ) სააგენტოს წარუდგინოს პოზიცია, ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები საქმის შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე; გ) გაეცნოს საქმის მასალებს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით დადგენილი წესით; დ) მოითხოვოს ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივება; ე) განაცხადოს აცილება სააგენტოს თანამშრომლის მიმართ.

პროცედურის მე-7 მუხლის საფუძველზე, სააგენტო საქმეს შეისწავლის საქმის შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში. საქმის შესწავლა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვისა, რის შესახებაც ეცნობება როგორც განმცხადებელს, ასევე მოვაჭრეს.

ასევე, განგიმარტავთ, რომ პროცედურის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად უფლებამოსილია, საქმის შესწავლის მიზნით განმცხადებლისგან ან/და მოვაჭრისგან გამოითხოვოს ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაცია).

აღნიშნულის შესაბამისად, გთხოვთ, 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარმოგვიდგინოთ პოზიცია განცხადებაში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით.

დანართი: „26” ფურცელი.

პატივისცემით,

ამათი ამაროვი

დეპარტამენტის უფროსი - მ.შ.
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი